

ინფორმაცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 3 ადმინისტრაციულ ერთეულში დასახლების საერთო კრების მოწვევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 იანვრის #1 დადგენილების „დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-სა და 2017 წლის 24 ივლისის გამგებლის #2720 ბრძანების შესაბამისად:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით ჩატარდება დასახლების საერთო კრება შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში:

N	ადმინისტრაციული ერთეული	კრების ჩატარების თარიღი	კრების ჩატარების ადგილი	კრების ჩატარების დრო (საათი)
1	ახალაბასთუმანი	09.08.2017	სოფლის ცენტრი	11:00
2	ინგირი	09.08.2017	სოფლის ცენტრი	12:00
3	ორსანტია	09.08.2017	სოფლის ცენტრი	13:00

დასახლებების საერთო კრების დღის წესრიგი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2017-2018-2019 წლებში განსახორციელებლად შერჩეული ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხაში დამატებით შესატანი პროექტების განხილვა, კერძოდ:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალაბასთუმანის ადმინისტრაციულ ერთეულში დევნილთა დასახლებაში მინი სტადიონის რეაბილიტაცია.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძისა და ტაბიძის ქუჩების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში ორსანტია-დარჩელის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა